ანბ. ხელ. N 28
F 786ა 7191
1917წ.
439/23 გ.

წელიწადი 1-ლი № 3
ორშაბათი 24 აპრილი

რედაქტორი: კატო მიქელაძე
გამომცემელი ქალთა კლუბი

გაზეთის ფასი:
1 წლით . . 6 მ.
6 თვით. 3 მ. 50 კ.
1 ნახ. წლ. 1 მ. 80 კ.
1 თვით . 80 კ.

განცხადების ფასი:
პირველ გვ. პეტიტი 25 კ.
უკანასკნელ გვერ. 15 კ.
სამგლოვიარო განცხადება . 5 მ.

რედაქციის ადრესი: 1 ალექსანდროვის ქ. სახლი თევდორაძისა ქუთაისი.

ხმა ქართველი ქალისა

ფ. 10 კ. ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ფ. 10 კ.

სრული პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლება ქალებს!

გაუმარჯოს საერთაშორისო ქალთა სოლიდარობას.

ქალთა კლუბის წევრთა საყურადღებოთ

ამით ვაცხადებთ. რომ ქალთა კლუბის წევრთა კრება ინიშნება მხოლოდ ქალაქის სამკითხველოში ყოველ კვირას საღამოს 7 საათზე წევრებს სთხოვს გამგეობა კლუბისა აღნიშნულ დღეს ნუ დაიზარებენ მოსვლას.

ქალთა კლუბის

გამგეობას ვსთხოვ შეიკრიბონ სამშაბათს 25 აპრილს საღამოს 7 საათზე მიხაილოვის ქუჩა ყოფილ საავადმყოფოში ექიმი ბოკერიასა.

გამგეობის თავმჯდომარე კატო მიქელაძე.

24 აპრილი 1917 წ.

თუ პოლიტიკურად არა თავისუფალი ქვეყანა ზღუდავს და ავიწროებს ინდივიდუალურს განვითარებას, კლავს და ამახინჯებს მის შემოქმედურს ძალას, ადვილი წარმოსადგენია თუ რამდენათ დააწვრილმანებდა და დაამახინჯებდა ორკეცი მონური ცხოვრება დედაკაცის პიროვნებას და მის სულიერ განვითარებას. რა უნდა იყოს ადამიანისათვის ისეთი სასტიკი სასჯელი, როგორც არის კაცში (ამ უკანასკნელ სიტყვაში მე ვგულისხმობ ორთავე სქესს). მისი სულიერობის ჩაკვლა? როცა საშვალება გესპობა შენი „მეს„ გამოკვლევისა და მისი დამტკიცებისა!..

ჩვენ ქალები საუკუნოებით ჩაყენებული ვართ იმ უბედურ მდგომარეობაში, რომლის გამო წარმოვადგენთ ჯოგს, რომლებსაც საითკენ ესურვებათ იქეთ გაგვრეკავენ ჩვენი მწყემსნი — მამაკაცები. კიდევ კარგი, როცა ეს მწყემსი თავისი ადამიანურ სიმაღლეზე სდგას, როცა მას წინ უძღვის პატიოსანი გრძნობა და ნათელი გონება. ამ შემთხვევაში სანუგეშოთ ის მაინცა გვრჩება, რომ ასეთი მწყემსი სადმე ხრამში არ გადაგვჩეხავს და კისერს არ მოგვატეხინებს. მაგრამ ბრალი ჩვენი, როცა ასეთს მწყემსობას ასრულებს თვით—გამოურკვეველი, პატივმოყვარე, უზნეო ეგოისტი, რომელსაც არ ძალუძს არც თავის ნაბიჯის გაზომვა და არც წარმოდგენა აქვს მისი მოქმედების შედეგისა. ასეთი წინდაუხედავ ეგოისტთა რიცხვი მით უფრო მატულობს, რამდენათაც თვით დედაკაცების ადამიანური მხარე მახინჯდება და წვრილმანდება, რამდენათაც სუსტია ცოლქმართა სულიერი კავშირი, და დამცირებული დედის პიროვნება, რომლის გავლენა შვილებზე ან სრულიად არა სჩანს და ან უეცრობით უკუღმართია. დღეს ჩვენ ვდგევართ ახალი ცხოვრების ცისკრის წინაშე, რომელიც გვპირდება აღდგენას ადამიანისა და მოქალაქის უფლებისას. და ჩვენც იმედებით აღვსილი ვეგებებით მას. მაგრამ როგორი უნდა იქნეს ჩვენი გულის ტკივილი, თუ არსებულმა რევოლიუციამ დედრობითი სქესი ადამიანისა და მოქალაქის უფლების ღირსად არ ჩასთვალა?!

საერთო პოლიტიკურ მონობის დროს სქესთა შორის კიდევ არსებობს ერთგვარი სულიერი ერთობა, რამდენადაც თავისუფლების მოსაპოებლად მათ სჭირდება ურთი ერთ დახმარება

დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც დღეს ჩვენ აგრე აღტაცებით მოველით, თუ რომ მოქალაქობრივი უფლებით შემოსავს მხოლოდ მამრობითი სქესს, ის წარმოშობს სულიერად სრულს გათიშვას უფლებიან სქესისას არა უფლებიან სქესთან.

დღევანდელი რევოლიუცია მარტო ერთი მამრობითი სქესის სასარგებლოთ დამთავრებული გვიქადის ქალებს სრულს მოწყვეტას მოქალაქობრივ ცხოვრებიდან. დღეს პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისთვის მებრძოლნი მამაკაცები, იმდენათ ეგოისტურად გამოიყენებენ ამ უფლებას ისტორიული ბატონობით წათამამებულნი დედრობითი სქესზე, რომ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა მომავალ სულიერ ტანჯვასთან შედარებით სანატრელად გაგვიხდება.

ასეთი პრივილეგია იმდენათ გააყეყეჩებს მამრობითი სქესს, რომ არავითარ კავშირს ქალებთან ისენი არ დაიჭერენ, გარდა ედდალ მამლურ კავშირისა. და რამდენათ საყოველთაო იქნება მათთვის პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლება, იმდენად საყოველთაო გახდება დედაკაცების ჩაგვრაც.

ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ იმ ქვეყნებში, სადაც რევოლუციამ დედაკაცი პოლიტიკურ უფლების გარეთ დასტოვა. ჩვენთვის ქართველი ქალებისათვის ასეთი მდგომარეობა ავტონომიურ საქართველოში, მით უფრო საშიშია. რამდენათაც ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილია სხვა კულტურულ ქვეყნებს, რომ ვიპოვოთ სულიერი საზრდო დასაცველად ჩვენი ადამიანური ღირსებისა.

უკანასკნელი დროის არამხანული მწერლობა ერთი იმ ნიმუშთაგანია, თუ რას უქადის ქართველს ქალს თავისუფალ საქართველოში პოლიტიკური მონობა.

დღეს ჩვენ გვპირდებიან მოქალაქობრივი უფლებით აღჭურვას და ზოგიერთ გულუბრყვილს გონიათ კიდეც, რომ ასეთი უფლება უკვე მიღებული აქვთ. ნამდვილათ კი ჩვენ ვხედავთ, რომ საამისოთ [illegible] წინ

ამიერ კავკასიის ახალი მთავრობის წევრი — ორი სოციალისტი ხმასაც არ იღებს ქალთა უფლების შესახებ.

არსად ჩვენში ქალთა კარ-ჩაკეტილი ცხოვრება გარდა საპარტიო მიტინგებისა არ დარღვეულა. და ძველებურად ქალები ათასში ერთი თუ არის დაშვებული ამდენ ახლათ გახსნილ ადგილებზე ადგილობრივ თვითმართველობაში.

არც ქუთაისის და არც თბილისის აღმასრულებელ კომიტეტში არ ურევია ერთი ქალი. ცხადია კავკასიის ცენტრი ქალთა საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს. ზოგი ამბობს ეს მისთვის მოხდა, რომ მომზადებული ქალები არა ჰყავანთო.

ჩვენ ვხედავთ აღმასრულებელ კომიტეტში ისეთს მამაკაცებს, რომლებსაც არავითარი სწავლა-განათლება არ მიუღიათ და თუ ისინი არ ითვლებიან მოუმზადებლად, ამდენს ინტელიგენტ ქალებში, რომლებსაც თუ სხვა არა საშვალო სასწავლებელი მაინც დაუსრულებიათ, ნუ თუ ორიოდე დედაკაცი არ აღმოჩნდა იმდენად მომზადებული, რომ თავისი მოვალეობა გაეცნო და შეესრულებია, თუ რომ მათ ნამდვილი ამხანაგური გრძნობით კი მიიწვევდენ აღმასრულებელი კომიტეტის წევრნი მამაკაცები?

ეს კითხვა დღეს ყოველი შეგნებული ქართველი დედაკაცის გულში ტრიალებს, და ეჭვით ავსებს მას ახალი მთავრობისადმი. კიდევ უფრო ნაკლები იქნება დედაკაცებისადმი ყურადღება თუ რომ ქართველი ქალები არ შექმნიან ერთს მთლიანს ორგანიზაციას თითოეულ გუბერნიაში და საერთო ძალ-ღონით არ შეუდგებიან თავიანთ ადამიანური პიროვნების აღდგენას.

ნეტავ სხვა რომელი საკითხი უნდა იყოს ქალებისათვის ისეთი მწვავე და ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიც არის ახლო მომავალში ჯერ დამფუძნებელ კრებაზე და მერმეთ ავტონომიურ საქართველოში წამოსაყენებელი საკითხი:

— ვიცნოთ თუ არა დედაკაცი ადამიანური უფლების ღირსათ''ო.

ნუ თუ ასეთი კითხვის დასმა არ უნდა იყოს საკმარისი ქალთა თავმოყვარეობის ასაშფოთებლათ და მათ შესაერთებლათ უფლებისათვის ბრძოლაში?!

ქალთა მომავალი ადამიანური ცხოვრება დღევანდელს ქალების მოქმედებაზეა დამოკიდებული და ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მათ, ვინაც არ შერიგებია სულიერ მონობას და უპიროვნო ჯოგურ ცხოვრებას შეიკრიბონ ქალთა პოლიტიკურ ორგანიზაციის გარშემო, რომელიც იბრძვის ორთავე სქესის პოლიტიკურ სწორ-უფლიანობისათვის დემოკრატიული რესპუბლიკის განსამტკიცებლათ, რაიც სასურველი და სასარგებლოა, როგორც პარტიული ისე უპარტიო ქალებისათვის. [illegible] ჩვენ შევძლებთ ერთი მხრით გამკლავებას ქალთა უფლების მტრებთან, და მეორე მხრით ღირსეულ დახმარებას ჩვენი მებრძოლ მამაკაცებისას კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლაში.

მაშ ჩვენთან, ვისაც გწყურიათ აღდგენა თქვენი ადამიანური პიროვნებისა და მოპოვება პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლებისა!

დღევანდელი ქალთა მოძრაობა.

დღევანდელი ქალთა მოძრაობა, რომ წარმოადგენდეს ჩვენში მნიშვნელოვან ძალას საჭიროა დაარსებულ იყოს ყოველ დაბა-სოფლებში ქალთა კავშირები შეერთებული თითოეულ გუბერნიის ცენტრთან, რომელიც გაუწევს მას იდეურს ხელმძღვანელობას. თითოეული გუბერნიის ცენტრი შეკავშირებული უნდა იყოს საერთო ქალთა ორგანიზაციაში, როგორიც არის რესპუბლიკანური ქალთა კავშირი, რუსეთისა.

ქალებმა უნდა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა საარჩევნო აგიტაციაში და თვით არჩევნებში დამფუძნებელ კრებისათვის, სადაც უნდა შემუშავდეს ახალი კანონები და ერთხელ და სამუდამოთ მოისპოს პოლიტიკური მონობა დედრობითი სქესისა რუსეთის სახელმწიფოში.

ქალები უნდა ღებულობდენ მონაწილეობას ადგილობრივ თვითმართველობაში. თითოეული პოლიტიკურ პლატფორმა გამორკვეული ქალი ღებულობს მონაწილეობას საერთო პოლიტიკურ მოძრაობაში იმ პარტიასთან, რომლის თვალსაზრისს ინაწილებს. პარტიული ქალები გამოყოფილი ცალკე კავშირად თვით პარტიაში უნდა შეუერთდენ საგუბერნიო ცენტრს რესპუბლიკანურს ქალთა ორგანიზაციას. ასეთი შეერთება საშუალებას მისცემს ქალებს მეტის ენერგიის გამოჩენისას მცხოვრებთა შორის აგიტაციის გასაწევათ. წინასწარ არჩევნების დროს ქალებმა უნდა მოსთხოვონ თავიანთ პარ-

ტიებს, რომ თითოეულ პარტიის სიაში შეტანილ იყოს თუნდაც ერთი, რომელიმე ამხანაგ ქალის სახელი.

ქუთაისის გუბერნიის ცენტრს ქალებისათვის, წარმოადგენს არსებული ქ. ქუთაისში ქალთა პოლიტიკური კლუბი, რომლის იდეურ ხელმძღვანელათ ქალთა სწორუფლიანობის დაცვაში გამოდის კლუბის საკუთარი ბეჭვდითი ორგანო ხმა „ქართველი ქალისა.“

აღნიშნულ მიზნისათვის ჩვენ მოუწოდებთ ყველა პარტიულ და არა პარტიულ ქალებს დაუკავშირდენ არსებულ ქალთა პოლიტიკურ კლუბს ქ. ქუთაისისას. და ხელი შეუწყონ ასეთივე მიზნით გუბერნიის დაბა-სოფლებში ქალთა კავშირების დაარსებას.

ჩვენ ვთხოვთ ქ. თბილისის ქალთა კავშირებს ასეთივე მიზნით საჩქაროთ შეერთებას და ვინაიდან ამიერ კავკასიის უმაღლესი მთავრობა არავითარ ცნობას არ იძლევა ქალთა არჩევანთა უფლებაზე, მოსთხოვონ მას საამისო აზრის გამოთქმა.

პირველი მაისი.

ქ. ქუთაისში მიუხედავათ ცუდი ამინდისა პირველი მაისობა დიდი ენტუზიაზმით ჩაიარა ეს პირველი დღე იყო რუსეთის იმპერიაში და კერძოთ საქართველოში, როცა საერთაშორისო მუშათა ძმობის დღეს ჯარის კაცებიც დღესასწაულობდა. ჩვენ ვხედავდით ამ დღეს ყველა სოციალისტურ პარტიათა სოლიდარობას, რომლებსაც ერთი მიზანი აღფრთოვანებდა, მიზანი საერთაშორისო სოლიდარობისა და სამართლიანი სოციალური ცხოვრების განმტკიცებისა. ნეტავ რა უნდა იყოს ადამიანისათვის ისეთი დამამშვენებელი, როგორც კაცმოყვარე იდეალისადმი მისწრაფება?.. როგორი ბედნიერი იქმნებოდა დედამიწაზე ადამიანის ცხოვრება, რომ ადგილი არ ქონოდა კაცისაგან კაცისჩაგვრას, შურსა და მტრობას!?

და ვინც ამ გზაზე სდგას და გულით ემსახურება კაცთა და ხალხთა შორის სოლიდარობის განმტკიცებას [illegible] მხოლოდ ხალხის სიყვარულისა და უყვარს კიდეც ხალხს.

ჩვენი ყურადღება ამ დღეს მიიქცია 110 ბატალიონის მეორე როტამ, რომლის დროშაზე ქალთა სწორუფლიანობა ეწერა. ეს ის დროშა იყო, რომელსაც მემკვიდრეობით არ დაუკარგავს თავისი ბრწყივალე სახე და რომელზედაც სწერია:

„ბრძოლაში ჰპოვებ შენსა უფლებას“

თავისუფალი სული გმირთა საკუთრებაა! და ჩვენც ვიხილეთ სულით თავისუფალი მხედარნი, რომელნიც ვერ მოითმენენ ვერავითარ მონობას. სალამი, სულით რაინდ ძმებს, რომელთაც არ სურთ თავისუფალ სამშობლოში ყავდეთ მონა დედები და შვილები. პატივი და წარმატება ქუთაისის ასმეათე ბატალიონის მეორე როტის გმირ ჯარისკაცებს.

დამსწრე **ქალი.**

ახალი ამბავი

◆ 20 ამ თვეს ჩვენი გაზეთის სასარგებლოთ გაიმართა ყულაბებით ფულის შეგროვება, როგორც ქუთაისში ისე პროვინციებში, რომლის შემოსავალი 1000 მანეთს აღემატება. რედაქცია ხმა ქართველი ქალისა გულწრფელ მადლობას სწირავს, როგორ საზოგადოებას ისე იმ პირთ ვინაც ამ საქმეში დახმარება გაგვიწია.

◆ თფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა ექს-პოლიციელების თხოვნა, რომ ნება ჰქონდეთ მათ თფილისში ცხოვრებისა იმ პირობით დააკმაყოფილა, თუ თითოეულს მათგანს რომელიმე პარტია თავდებათ დაუდგება.

◆ ქ. ქუთაისის სასურსათო კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქ გარეთ ფქვილის, შაქრის, ტყავეულობის და სხვა სანოვაგის გატანა სასტიკათ აკრძალულია.

◆ **დ. ყვირილა.** ყვირილაში დააპატიმრეს ცნობილი ჯაშუში ილიკო მხეიძე, რომელიც 1905 წ. ს. რ. პარტიაში მუშაობდა.

◆ დროებით აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ნიხრი ყველა პირველ მოთხოვნილების საგნებზე, მაგრამ ზოგიერთი ვაჭრები მას არ ემორჩილებიან.

◆ 1 მაისის (ახალი სტილით) სადღესასწაულოთ ყვირილაში მოხდა მრავალრიცხოვანი მიტინგი, სადაც წარმოსთქვა სიტყვები სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებმა, ყვირილის სოციალ-რევოლ. კომიტეტიდან ილაპარაკეს:—ვ. ბაქრაძემ (ქართულათ), იაზონ აბაშიძემ (რუსულათ) და ჩხეიძემ წაიკითხა ლექსი ქართულ ენაზე—სიტყვების შინაარსი ეხებოდა მხოლოდ პირველ მაისობის მნიშვნელობას. ორატორებს შეხვდენ დიდი ტაშისცემით და ოვაციებით.

◆ დ. ხარაგოულში გაიხსნა ქალთა წრის მეთაურობით მეფუტკრეობის კურსები. მსურველთათვის სწავლა უფასოა. მეცადინეობა დაიწყება 17 აპრილიდან.

კონტრ-რევოლიუციონური აგიტაცია.

,,იუჟნი კრაის კორესპონდენტი'' სწერს: ამ ბოლო ხანებში ბესარაბიის გუბერნიაში ფართო ნიადაგს იკავებს აგიტაცია, რომელსაც ძველი მთავრობის მომხრეებიავრცელებენო.

გლეხები უკვე მოამზადეს ასაჯანყებლათ- ,,აჯანყდით და მემამულეების მიწები ხელში ჩაიგდეთო''

ცხადია რომ აგიტაციას ეწევიან რუსეთის ჯარების შორის რუმინიის ფრონტზე მყოფი ძველი რეჟიმის მომხრეები.

დროებით მთავრობას და რევოლიუციის ორგანიზაციებს სრულიად დავიწყებიათ, რომ მოლდავიაში იმყოფებოდა მრავალრიცხოვანი რუსეთის ჯარი და ამის მიზეზით აპრილამდი ამ ჯარებში თანამდებობას ასრულებდენ (ზოგიერთი ახლაც ასრულებს) გენერალი: სახაროვი, რუსეთში გამოჩენილი გენერალ ტალმაჩოვი, ყოფილი მეფის კანცელარიის უფროსი მასალოვი და გენერალი კაზაკევიჩი, რომელმაც რევოლიუციის პირველ კვირას ასეთი სიტყვებით მიმართა რუმინელებს. „ეს მოვლენა წარმავალია, ჩვენ არისტოკრატები, ერთი თვის შემდეგ დავამსხვრევთ მას''ო.

იმის დამტკიცება, რომ ხსენებული პირები მართლა იღებდენ მონაწილეობას აგიტაციაში, რომელიც თანდათან ღრმავდება და სერიოზულ ხასიათს იღებს, შეუძლია მხოლოდ დროებითი მთავრობის წარმომადგენლებისაგან შემდგარ გამომძიებელ კომისიას. რომლის დანიშნულების აუცილებლობა ეჭვს გარეშეა.

რუმინიის ფრონტი იმდენათ უთანაგრძნობდა რევოლიუციას, რამდენათაც მას საშვალებას აძლევდა დროებითი მთავრ. ტელეგრაფით მიწერ მოწერა, რომელსაც დამოკიდებულება ჰქონდა სახაროვისა და მასალოვის შტაბთან.

არც დროებითი მთავრობა, არც რევოლიუციის ორგანიზაციები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ტელეგრაფით მიწერ მოწერას და მას, თუ რა ნაირათ აცნობდენ რევოლიუციის ცხოვრებას რუმინიის ფრონტზე მყოფ ჯარებს. ამითი ისარგებლეს მეფის მომხრეებმა და უფრო თამამად შეუდგენ კონტრ-რევოლიუციონური აგიტაციის გაწევას. ერთი მხრივ ბესარაბიისა და ადესის და მეორე მხრივ მოლდავიაში.

მარტში რუმინიის ფრონტის ჯარებისათვის სურსათის მიწოდება ცოტა არ იყოს გაუჭირდა დროებით მთავრობას და აი ეს გარემოება გასამხნევებელ საგნათ გაუხდათ რუმინიის ფრონტის აგიტატორებს, ვითომ დროებით მთავრობას არ შეუძლია გაუწიოს ანგარიში სამშობლოს კეთილდღეობას, რომლის გულისთვისაც დაიმსხვრა ძველი რეჟიმი. ეს აგიტატორები გულმოდგინეთავრცელებდენ ხმას პეტროგრადის მუშათა საბჭოს ჯარისკაცთა დეპუტატებისა და ახალ მთავრობის შორის მომხთარ უკმაყოფილების შესახებ, როგორც დამამტკიცებელ საბუთს რუსეთში გამეფებულ ანარხიისა.

აქტიური აგიტაციის გარდა, თავს იჩენს პასსიური აგიტაცია, რომელსაც უმთავრესათ მხედველობაში აქვს შეასუსტოს წითელი ჯვარის ორგანიზაციების მოქმედება, სასურსათო დაწესებულებისა და სხვა.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ გერმანელები თავგამოდებით ეხმარებიან აგიტატორებს და სხვადასხვა შინაარსის პროკლამაციებს ავრცელებენ რუსეთის ჯარების შორის.

აუცილებელია რუმინიის ფრონტზე დროებით მთავრობის წარმომადგენლების გამგზავრება მუშათა საბჭოსა და ჯარის კაცთა დეპუტატების წარმომადგენლებთან ერთად, აგრეთვე სათათბიროსა და საზოგადო ორგანიზაციების წევრებისა, რათა აუხსნან იქ მყოფ ჯარებს რუსეთში მომხდარ ცვლილების მნიშვნელობა.

აგრეთვე საჭიროა სათანადო ყურადღება მიექცეს იმ არა სასიამოვნო მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბე-

საზარელი მტარვალობა.

პატარა ფაქტები დიდ სიავეზე.

ადგილობრივმა საექიმო გამგეობამ გამოსცა დიდათ საყურადღებო, მაგრამ იმავე დროს ერთობ არა სრული გამოკვლევა ვენერიულ სნეულებაზე. ის შედგენილია დ-რი დჟონსტონის მიერ, რომელსაც უძღვის წინასიტყვაობა საექიმო გამგეობის ინსპექტორის დ-რი არტუა ნიუსხოლმისა. ისინი იუწყებიან ჯერ სიფილისზე, შემდეგ სუსუნატზე და ბოლოს კი იმ კითხვაზე, თუ როგორ უაქიმონ და კანტროლი გაუწიონ ამ სნეულებათ.

დ-რი დჟონსტონის მიერ გაკეთებულ ანკეტიდან სპეციალისტ ექიმებთან, რომელთაც მრავალ წლობით საქმე ქონდათ ამ სენთან, როგორც ლონდონში, ისე პროვინციებში, ნათლად სჩანს, რომ ახლანდელ დროში სიფილისი უფრო გავრცელებულია, ვიდრე ოცი წლის წინათ. მართალია ამტკიცებენ, რომ ფორმა ამ საზარელ სენისა ახლა ისეთი აშკარა არ არის და არც ისე საზიზღარი, როგორც წინათ იყო, განსაკუთრებით მეორე და მესამე სტადიაში, მაგრამ არც ერთი აღნიშნული ექიმი არ ამბობს მაგ., რომ ეს სენი უფრო ნაკლებ საშიშარია დღეს, ვიდრე წინათ იყო.

ნამდვილათ კი ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თუმცა ეს სენი დღეს ნაკლებ საზარელ ფორმას ღებულობს თავის დასაწყისში, ვიდრე წინათ, მაგრამ მისი მოქმედება ორგანიზმზე ისეთივე დამღუპველია, როგორც წინათ იყო და შეიძლება უფრო მეტად.

სტატისტიკური ცნობათა ნაკლულევანებით ძნელია სიფილისტიანების ნამდვილი რიცხვის აღნიშვნა. ამისათვის ერთი ექიმის გამოკვლევით ლონდონის მთელ მცხოვრებთა შორის 12 პროც. დასნეულებულია ამ სენით, მეორეს გამოკვლევით კი 18 პროც.

თავიანთ გამოკვლევაში მათ დაუშვეს სერიოზული დეფექტი, ვიტყვით შეცოდებაც მით, რომ არ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება მეორე ფორმას ვენერიულ სნეულებისას—სუსუნატს; იმ აშკარა ფაქტს, რომ ეს სენი ყველაზე უფრო გავრცელებულია, რომლითაც დასნეულებულია 80 პროც. მამაკაცებისა. დ-რი ნიუსხოლმა, მოხსენების წინასიტყვაობაში იმგვარათ საუბრობს ამ სენზე, რომ შესაძლებელია დაიბადოს აზრი სუსუნატის არა საშიშროებაზე. იყო დრო, როცა ექიმები თავაზიანი მოთმენით უცქეროდენ ამ საშიშარ სენს; და რაგვარად ძნელი არ არის ამის თქმა, მაგრამ ეს მისთვის ხდებოდა, რომ მას უფრო მეტი ზიანი მოქონდა დედაკაცისათვის, ვიდრე მამაკაცისათვის.

ზერელე, არა სერიოზული მანერა, როგორათაც თავიანთ გამოკვლევაში მოეპყრენ ამ საკითხს, გვეუბნება თითქო აღნიშნულ ექიმებს სურდათ იმის თქმა, რომ არ თვლიან სუსუნატს მედიცინის ნაწილათ.

რომ დავინახოთ საშიშროება სუსუნატისა, ჩვენ მოვიყვანთ დ-რი პრენს მოროუს ნაშრომიდან „სოციალური ავათმყოფობა და შეუღლება“ შემდეგ ადგილს:

„განოკოკების გადადებით ცოლი უფრო მეტ საშიშროებაში ვარდება, ვიდრე სიფილისის. ეს სენი გადადის მთელ საშვილოსნოზე და მის მახლობელ ორგანოებზე; იწვევს ანთებას საკვერცხეებისას და სხვათა. ქმნის მას უშვილოსნოთ, იწვევს საბედისწერო აპერაციებს, რომელიც ხშირათ სრულდება სიკვდილით.

სუსუნატი უნივერსალური სენია და ყველაზე მეტათ გავრცელებული, რომლითაც დასნეულებულია 75 პროც. მამაკაცებისა და მეტიც. მეორე მედიცინის მაღალი ავტორიტეტი ამბობს: „სუსუნატი და ჰლექი და შეიძლება სუსუნატი უფრო, ვიდრე ჰლექი წარმოადგენს უდიდეს წყლულს ჩვენი საუკუნისას.

მოხსენების დადებით მხარეს წარმოადგენს მისი უარყოფითი განწყობილება სახელმწიფო რეგლამენტაციასთან და იძულებით შემოწმებასთან. ამ საგანზე დ-რი დჟონსტონი და დ-რი ნიუსხოლმი თანახმაა. დ-რი დჟონსტონი აცხადებს: „საქმე ისაა, რომ ყველა ეს მეტოდები დამყარებულია შეცდომაზე. პროფესიონალური პროსტიტუტკა—აგენტია ვენერიულ სენის გავრცელებაში, მაგრამ ის არ არის უმთავრესი აგენტი; „საიდუმლო“ პროსტიტუტი წარმოადგენს უფრო საშიშარ და უფრო მრავალრიცხოვან კლასს აგენტებისას.

მომეტებული წილი ვენერიულათ დასნეულებულ ინდივიდუუმთა—მამაკაცებია და უფრო სერიოზული გამავრცელებელი ვენერიულ სნეულებათა. აშკარაა ამისათვის უსარგებლობა ინფექციურ სენთან ბრძოლისა რეპრესიული საკანონმდებლო საშუალებით მიმართული ერთ სნეულ კლასთა წინააღმდეგ, რომელიც არც რიცხვით და არც საშიშროებით არ აღემატება მეორეს. ამას გარდა დევნა და სასჯელი მხოლოდ ერთი სქესისა,—ერთი ნაწილის უწესოთ მცხოვრებთა იმ დროს, როდესაც მეორე სქესს ნება აქვს სრული თავისუფლებისა, იმდენათ უსამართლოა, რომ თავის თავად საკმარისია, რომ გამოიწვიოს აღშფოთება და ზიზღი პატიოსან ხალხის გულში“. დაუმსახურებელ მნიშვნელობას აძლევს მათი გამოკვლევა. სალვარსანის ანუ ეგრეთ წოდებულ „606“-სის მკურნელობითი თვისებას. ასეთ ნაკლს შედეგათ ის მოაქვს, რომ ცრუ იმედებით იმსჭვალება, როგორც სიფილის შეყრილი, ისე სხივები, რომელნიც ასეთ საბედისწერო ბიწიერებას ეწევიან.

უფრო სიფრთხილეს იჩენს თვით „606“ აღმომჩენი ბ. ერლიხი. ის დიდ იმედებს არ ამყარებს მაზე და ამბობს: „თუ სალვარსანი არ გამოდგა ისეთი მკურნველი, როგორც ვფიქრობდი წინათ, ყოველ შემთხვევაში ის წარმოადგენს დამატებას ექიმობისათვის. მაგრამ უმთავრესი ნაკლი გამოკვლევისა იმაში მდგომარეობს, რომ ის არ ეხება ნამდვილ საშვალებას ვენერიულ სენის წინააღმდეგ, სახელდობრ **საფრთხილეს**.

არც ერთი სიტყვა არ იძვრის იმის შესახებ, რომ მამაკაცებმა დაიჭირონ თავიანთი სქესობრივი ლტოლვა წესიერებისა და უშიშროების საზღვრებში. თითქო ორთავე ჯენტლმენი, რომელნიც ხელს აწერენ გამოკვლევას და მისი გამომცემი ადგილობრივი გამგეობა გვაკვეთავენ, რომ გარყვნილება,—წყარო ვენერიული სნეულებისა არც შეჩერებული და არც გაკიცხული არ უნდა იქნეს.

ნამდვილათ კი მთავრობის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ის, რომ გაავრცელონ მამაკაცებთა შორის მიუხედავათ წლოვანებისა და კლასთა ცნობები შემოწმებულ ყველა გამოჩენილ აქიმების მიერ, რომელთაც ქონდათ გამბედაობა სიმართლის თქმისა, რომ უბიწოება მამაკაცებისათვის არა თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელი საჭიროა, როგორც თავიანთ ინტერესებისთვის, ისე ქალებისათვის და მთელი მოდგმისთვის. როგორც ვხედავთ ასეთი დარიგება მანამდი

სარაბიასა და მალდავიაში, და რომელიც სერიოზულ ხასიათს იღებს რუსეთის რევოლიუციისათვის.

ემიგრანტების დეპეშა.

ემიგრანტმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს იუსტიციის მინისტრის ა. ფ. კერენსკის.

ინგლისის მთავრობა უარს ამბობს ქალების რუსეთს გამგზავრებაზე, გთხოვთ ნება დაართვევინოთ ინგლისის მთავრობას პოლიტიკურ ემიგრანტების და მათ ოჯახების რუსეთში დაბრუნებაზე.

გარეშე საქმეთა მინისტრმა ასეთი წინადადებით მიმართა ველიკობრიტანიისა და საფრანგეთის მთავრობას, რომ არავითარი გარჩევა არ იქნეს ემიგრანტების შორის, რომლებით რუსეთს ბრუნდებიან და ყველას ერთნაირი დახმერება ექნეს აღმოჩენილი.

საფრანგეთის ელჩის დროებით წასვლის გამო მის მოადგილეთ პეტროგრადში სოციალისტი ალბერტ ტომა ითვლება, რომელიც უკვე ჩამოსულია.

დააკვირდი.

ქალვაჟთა უფლებრივი გათანასწორება გაარკეცებს ძალას კაცობრიობას და გაამდიდრებს მის ბედნიერებას.

ჯორჯ ელიოტი.

ქალს მიაყრიან ქვებს ისეთი საქციელის, რომელიც არა თუ სამარცხვნოთ არ ითვლება მამაკაცისათვის არამედ არც დასაძრახათ მათთვის.

კარმენ სილვა.

როგორც საზიზღარია სამართლიანობისათვის, რომ ადამიანი მონა იყოს თავის მზგავსის, ისე საზიზღარია მუდმივი სამართლისათვის, რომ დედაკაცი იყოს მამაკაცის მორჩილობაში, და მათ ლეგალურ საერთო ცხოვრებაში ერთი ნიშნავდეს ყველაფერს და მეორე კი არაფერს.

ბიჩერ-სტოუ.

თავისუფლების მაძიებელი მამაკაცები მთელი თავისი ძალღონით უნდა ესწრაფოდენ მას, რომ ქალები სარგებლობდენ ყველა მოქალაქობრივი და პოლიტიკური უფლებით სოციალურ ცხოვრებაში.

მაზინი.

ძმებს

რუსულიდან.

ბრწყინავს საყვარელ სამშობლოს ცაზე
განთიადისა ოქროს სხივები,
და თქვენსკენ მკაცრის საყვედურითა,
ჩვენ მოგვიმართავს მწუხარე ხმები.

ერთად ვიბრძოდით ჩვენ სიმართლისთვის
თქვენთან ვიდექით ჩვენაც ბრძოლაში,
ჩვენც ვემსახურეთ თქვენსავით ხალხსა,
ყოველგვარ ტანჯვა, მწუხარებაში.

ქვეყნის საერთო ბრძოლის საქმეში
ჩვენც შევიძელით დაგხმარებოდით,
და სასიკვდილოთ, შეუნანებლად
შორს, ცივ ქვეყნებში ჩვენც მივდიოდით!..

არ გვაშინებდა ჩვენ მუშაობა,
არც დავიშურეთ ჩვენი ძალები,
დაღუპულნიც ხომ უთვალავია,
შესანიშნავი კარგი ქალები!

ერთად გავედით ჩვენ ახალ გზაზე,
გამოვცადეთ რა ბრძოლა შემზარი.
ჯილდოთ გვირგვინი მხოლოდ თქვენ გერგოთ,
და ჩვენ კი ისევ მონისა ჯვარი.

თავისუფალი ხალხის სამშობლოს,
რცხვენოდეს ქალის მონათ გულება,
რომ ერთი სქესი ქვეყანას ფლობდეს,
იმას არ ჰქვია თავისუფლება!

ჩაგრულნო დებო, ჩვენ არ გვაქვს წილი,
მეტად ჩაგვსთვალეს ამ ქვეყანაზე,
ჩვენ გვტანჯავს ჯაჭვი უუფლებობის,
და თავიც დავსდვათ იმის ახსნაზე!

ლელ. იმნაძისა.

რუსეთში არსებობს თქმულება, რომ ქალის ცრემლი—წყალიაო; ეს თქმულება მგზავსათ მრავალ სხვათა, მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ რუსეთში ყოველ დროს ყოფილა საკმარისი სულელები და არამზადები.

შისარევი.

რა მნიშვნელობა აქვს

საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემას.

საყოველთაო არჩევანთა უფლება მისთვის არის სამართლიანი მოთხოვნილება, რომ ყველა მოქალაქე მდიდარია ის, ღარიბი ნასწავლი, თუ უსწავლელი ერთნაირად ემსახურებიან სახელმწიფოს. ამისათვის ყველა ის პირნი, რომელნიც იხდიან თავიანთ მოვალეობას სახელმწიფოწინაშე უნდა სარგებლობდეს ერთნაირი უფლებით, რათა სახელმწიფო სათათბირომ ახალი კანონების შემოღების დროს არ გამოსცეს ისეთი კანონები, რომელიც შეავიწროებს მცხოვრებთა რომელიმე ნაწილს.

ყოველი, ნორმალური ადამიანი, რომელნიც რაიმე სენით და ბოროტმოქმედებით არ არის დასჯილი 21 წლიდან უნდა სარგებლობდეს არჩევანთა უფლებით განურჩევლათ სქესისა.

თანასწორი არჩევანთა უფლება.

საკმარისი არ არის მარტო ერთი საყოველთაო არჩევანთა უფლება, საჭიროა აგრეთვე ეს უფლება იყოს თანასწორი, ე. ი. რომ ყოველს მოქალაქეს არჩევის დროს ჰქონდეს ერთნაირი ხმა, რადგან შესახედავათ შესაძლოა მისცენ საყოველთაო უფლება, მაგრამ თუ ერთს ადამიანს 1 ხმა ექნა და მეორეს ათი, ეს თავისთავად ცხადია, რომ დამრღვევია თანასწორი უფლებისა. ინგლისში თუმცა საყოველთაო არჩევენთა უფლება არის, მაგრამ თანასწორობა მით არის დარღვეული, რომ იმ პირთ, რომელსაც რაოდენიმე ოლქში აქვს სახლები და მიწები თითეულ ოლქში მას ხმის უფლება აქვს, რომლის გამო ღარიბთან შედარებით ის მრავალი ხმის პატრონია.

რომ ასეთი უთანხმოება მოისპოს, საჭიროა, რომ არავის არ ჰქონდეს ნება სიყოველთაო არჩევნების დროს სხვადასხვა არჩევანთა კრებაზე იყოს არჩეულსახელმწიფო სათათბიროს წევრად. რომ თითეული წევრი სათათბიროსი იყოს მხოლოდ ერთ რომელიმე არჩევანთა კრებაზი არჩეული და არა სხვადასხვა ადგილს. ამას გარდა ორ პალატიან სისტემაში უმრავლესობის ინტერესის დასაცავად სასაჭიროა, არ იყოს დაშვებული კანონმდებლობაში ისეთი პუნკტი, რომლის ძალით სახელმწიფო სათათბიროს, ე. ი., ხალხის წარმომადგენელთა მიერ მიღებული კანონების შეცვლა, ან უარის ჰყოფა შეეძლოს უმაღლეს პალატას, ე. ი., სახელმწიფო საბჭოს.

ფარული ხმის მიცემა.

ფარული ხმის მიცემა მისთვის არის საჭირო, რომ სუსტ ადამიანს, ან ღარიბ კაცს ყოველი შემძლები უსიამოვნების თავიდან ასაცდენათ საშუალება ექნეს ამოირჩიოს საიდუმლოთ ის, ვისაც უფრო ენდობა.

პირდაპირი ხმის მიცემას თხოულობს ის ხალხი, რომელსაც ცხოვრებიდან წე-

---

არ გამოიცემა მთავრობის მიერ, სანამ დედაკაცები არ მიიღებენ ხმის უფლებას და არ აიძულებენ მთავრობას ლაპარაკს უმთავრეს საზოგადო სასიცოცხლო საკითხზე.

როგორც მოსალოდნელი იყო ჩვენმა წერილებმა ვენერიულ სენზე და მის მიზეზებზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მამაკაცებში. ბევრმა მათგანმა აღიარა სრული თანხმობა ჩვენს მოსაზრებაზე და ის, რომ ქალთა ხმის უფლება და მამაკაცთა უბიწოება შეიცავს ერთად ერთ აქიმობას სქესობრივი ავათმყოფობის მოსასპობათ. მეორენი კი გვაკრიტიკებენ. ეს კრიტიკები ამბობენ 1) მამაკაცებში ვენერიული სნეულების სიჭარბე, რომელსაც ჩვენ ვამტკიცებთ გადამეტებულია. 2) რომ მამაკაცების ბიწიერებას ნიადაგი ეკონომიურ პირობებში უდევს და რომ მათ საშუალება ქონდეთ ცოლის შერთვისა, მაშინ არ ექნებოდათ მათ დამოკიდებულება პროსტიტუტკებთან. ამას რასაკვირველია მამაკაცები ამტკიცებენ. ამ ორ არგუმენტზე ჩვენ ერთობ გამორკვეული პასუხი გვაქვს. შესახებ ჩვენი დამტკიცებისა, რომ 75—80 პროც. მამაკაცებისა დასნეულებულია სუსუნატით, რომელსაც ჩვენი კრიტიკები გადამეტებულათ სთვლიან, ჩვენ ვხედავთ ჩვეულებრივ საყვარელ მეთოდს მამაკაცებისას ქალებთან დავაში, რომ უარყონ უკანასკნელის მიერ მოყვანილი ფაქტები. მაგრამ საბედნიეროთ ჩვენ ავიღეთ ეს ფაქტები ექიმ მამაკაცებიდან.“ აი რას ამბობენ მედიცინის დიდი ავტორიტეტები სუსუნატით დასნეულებულ მამაკაცების შესახებ, რომლებიც ათასობით ასნეულებენ თავიანთ ცოლებს. დ-რი ნოგერატი ამბობს, რომ ნიუორკში 1000 ცოლშერთულ მამაკაცებში 800-სი სუსუნატიანია და რომ 90 პროც. მათ შორის ჯვარისწერამდე მოურჩენელია, რომელთაც შეუძლიათ თავიანთ ცოლების დასნეულება. რიხარდი ამბობს, რომ 80 პროც. მამაკაცებისა დასნეულებულია სუსუნატით და თანაც ამასაც უმატებს: „თუ ვინმე ავათ გახდა ამ სენით, ერთმა ღმერთმა უწყის ოდესმე განიკურნება ის მისგან თუ არაო“. ნეისერი—აღმომჩენი გონოკოკების, ამბობს: „დიდ ქალაქებში მცხოვრებ მამაკაცებში, რომ მხოლოდ უმნიშვნელო რიცხვს უხდება თავის გადარჩენა სუსუნატიდან, არ არის გადამეტებული და სრულიად მართალია, როცა ამას ამტკიცებენ“ო დ-რი პრენს მორროუ ავტორი წიგნის „სოციალური სენი და შეუღლება“ ამბობს: გონორეა ე. ი. სუსუნატი ყველაზე მეტად გავრცელებული და უნივერსალური სენთაგანია, რომლითაც დასნეულებულია 75 პროც. მამაკაცებისა და კიდევ უფრო მეტიც. ტაილორი თავის წიგნში ვენერიულ სნეულებაზე ამბობს: „ჩვენ უეჭველი უფლება გვაქვს დავამტკიცოთ, რომ გონორეა საერთოთ აღებული,— არის ერთი უსაშიშროესი და ყველაზე მეტად გავრცელებული ინფექციური სენი, რომელიც ამარცხებს კაცობრიობას“-ო.

ფიგნერი დიდი ავტორიტეტი სუსუნატისა გერმანიაში, ამბობს: „გონორეა ყველაზე მეტად გავრცელებულია მამაკაცებში, რომელთანაც პრაკტიკულ აქიმს უხდება საქმის დაჭერა; ჩვეულებრივათ ექიმი იქიდან იწყებს პირველ პრაკტიკას, რომელიც ბოლომდე აწვდის მას მრავალ მღელვარე საათებს. რამდენათ ეს სენი გავრცელებულია, იმდენათ ის უწმარი და უშედეგოა რადიკალურ განკურნებისათვის“. ამ ფაქტებს დაუმატებთ კიდევ ორ შემდეგს. დ-რი დჟემსფოსტერ სვატი ამბობს: „სუსუნატ შეყრილი ქალი ვარდება არა მარტო იმ საშიშროებაში, რომ გახდეს მუდმივ ინვალიდათ და უშვილოთ, არამედ კიდევ მასზედ ერთვის პერიტონით და სისხლის მოწამვლით სიკვდილის მოახლოებაც.

უკეთეს შემთხვევაში დედაკაცი იტანჯება სისუსტით, რომელსაც შეცდომით ქალის ბუნებას აწერენ, უფრო სერიოზულ შემთხვევაში მისი სქესობრივი ორგანოები ხირურგის მაგრატლის ქვეშ ვარდება“. დ-რი პრენს მორროუ ამბობს: „ყველა თანამედროვე ავტორები ქალური ავათმყოფობისა აღიარებენ, რომ გონორეა არის უმთავრესი მიზეზი ანთებით ავათმყოფობისა, რომელიც სჩვევია ჩვენი დროის ქალებს“. საჭიროა აღვნიშნო ის, რომ ექიმებს არ შეუძლიათ თავმდებობა ამ სენისაგან განკურნებისა და მამაკაცს კი შეუძლია ჯვარისწერა და დაინეულება თავის ცოლისა.

დ-რი პრენს მორროუ ამტკიცებს, რომ გონორეას, რომელიც გარეგნულათ მორჩენილსა გავს შეუძლია არსებობა ფარული სახით, და ამბობს, რომ ყველა მისი თანამოაზრე გინოკოლოგების*) გამოცდილებით ასეთი ფარული სუსუნატით ქმრებისგან დასნეულებული ცოლების რიცხვი შეუწყვეტელია, რომელსაც მიყავთ ისინი დავრდომილებამდე, ანუ სიკვდილამდე აპერაციების წყალობით.

ტაილორი ამბობს: „ბევრ შემთხვევაში ეს სენი გამოუცნობელია და ასეთი მიძინებული სახით შესაძლოა მისი არსებობა მრავალი წლის განმავლობაშიაც, რომელიც ამა თუ იმ მიზეზის გამო უეცრად თავს ამოყოფს მთელი თავისი საზარელი შედეგით.

ამერიკელი ავტორიტეტი, პრეიერი მაბობს, რომ „1000 ქალთა ოპერაციებში 950,—შედეგია სუსუნატისა“. ეს მოკლე ციტატები დიდ ავტორიტეტთა სრულიად საკმარისია, რომ დაამოწმოს ჩვენი დებულება, რომ 75—80 პროც. მამაკაცებისა სუსუნატიანია; ეს ფაქტები მამაკაცებისთვის საკმარისი უნდა იყოს, რომ თავი შეიკავონ გარყვნილებიდან და დედაკაცებისათვის გასაფრთხილებლათ, თუ რას უქადის მათ გათხოვება, სანამ მამაკაცების ზნეობა მათზე მდაბლად სდგას.

ახლა კი მივუბრუნდეთ ჩვენ კრიტიკებს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მიზეზი სქესობრივი გარყვნილება დევს ეკონომიურ პირობებში და რომ ყველა მამაკაცებს შეეძლოთ ცოლის შერთვა, პროსტიტუცია არ იარსებებდაო“.

ამ დებულებათა უნიადაგობა შემდეგი ფაქტებით მტკიცდება 1) ერთი რომ შეძლებული ხალხი, რომლებსაც შეუძლიათ ცოლის შერთვა, ისე გარყვნილია, როგორც ღარიბი. 2) როგორც ცოლიანი, ისე უცოლო კაცები იჭერენ დამოკიდებულებას პროსტიტუტკებთან. უეჭველია პრობლემა ბიწიერების ეკონომიურ პირობებში დევს, მაგრამ იმ აზრით, რომ სადაც დედაკაცი ეკონომიურად დამოკიდებულია მამაკაცებისგან, ის ყველაზე უფრო ადვილათ ხთება მსხვერპლი გარყვნილებისა.

მამაკაცების ინსტიკტიური მისწრაფება არის, რომ დედაკაცები დაიჭირონ ეკონომიურ დამოკიდებულებაში.

ეს სურვილი არის საფუძველი იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც მამაკაცები უწევენ ქალთა სამრეწველო და პროფესიონალურ შრომაში დაშვებას. ქალს რომ შეეძლოს თავისი ხელით და თავისი თავით გაუჭირვებელი ცხოვრება, ის ადვილათ არ დასთანხმდებოდა თავისი სქესის გაყიდვას. და სანამ მამაკაცების ხელში

---

*) ქალური ავათმყოფობის სპეციალისტები.

ლი გამაგრებული აქვს და არავის მონდურების არ ეშინია.

ასეთი პირდაპირი ხმის მიცემა არსებობს პრუსიაში და ავსტრიაში.

X.

თბილისი.

— აღმასრულებელი კომიტეტი ამ ცოტა ხანში შეუდგება სოფლებში არჩევნების მოწყობას თანახმად ქუთაისის კომიტეტისაგან გამოგზავნილი ინსტრუქციისა.

— ქართველ სტუდენთა კრება. კონფერენციის საორგანიზაციო ბიურო სთხოვს თბილისში მყოფ ამხანაგთ დაესწრნენ კრებას 23 აპრილს 3 საათზე ქართულ ბანკში (სამების ქუჩაზე) საორგანიზაციო საკითხის გამოსაკვლევათ.

— პოლკოვნიკი ზდანოვსკი თბილისის პოლიცმეისტრათ ნამყოფი, თფილისის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით სატუსაღოდან გაანთავისუფლეს და 4 დღის განმავლობაში კავკასიიდან უნდა გაიგზავნოს. ამასთანავე გადაწყვეტილია, რომ სამხედრო სამსახური არ მიეცეს მას კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე.

— გლეხთა კავშირის ყრილობა. გლეხთა კავშირის თბილისის საორგანიზაციო ბიუროს დეპეშით ატყობინებენ პეტროგრადიდან, რომ 1 მაისს პეტროგრადში დანიშნულია მთელი რუსეთის გლეხთა კავშირის დელეგატთა ყრილობათ. განსახილველია ყველა თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიური საკითხები. მონაწილეობის მიმღებთა მსურველებმა უნდა მიმართონ შემდეგი მისამართით: პეტროგრადი, თავრიდის სასახლე, გლეხთა დეპუტატების კომიტეტი.

— ამიერ კავკასიის სასურსათო საქმის მოსაწესრიგებლად 26 აპრილს თბილისში დანიშნულია ყრილობა რომელსაც დაესწრებიან წარმომადგენლები ამიერ კავკასიის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტების, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტების, მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოებიდან, კოოპერატივებიდან და სხვ. გაარჩევენ საკითხს ამიერ კავკასიის გაერთიანებაზე. სასურსათო საქმეების სურსათის განაწილებისა და ტრანსპორტის მოწესრიგების შესახებ.

— თბილისის მილიციის უფროსი შეეკითხა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს, მიიღონ თუ არა სამსახურში ყოფილი ქურდები მათი თხოვნის მიხედვით „სისჩიკებათ“. აღმასრულებელმა კომიტეტმა უარი განუცხადა.

— ამიერ კავკასიის მართვა-გამგეობა. დროებითი მთავრობის კომისარიატი ამთავრებს კანონ პროექტს შესახებ მართვა-გამგეობისა ამიერ კავკასიაში. ეს კანონ-პროექტი ჩქარა გამოქვეყნდება.

— „დაშნაკცუტუნი“ და საერობო თათბირი. „დაშნაქცუტუნის“ პარტიის სარაიონო კრებამ გადასწყვიტა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღოს მონაწილეობა საერობო არჩევნებში, თუ წინასწარ მოხდება ამიერ კავკასიის საადმინისტრაციო საზღვრების ძირითადი გადამიჯვნა, წინააღმდეგ შენთხვევაში პარტია არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებს.

— ამიერ კავკასიის კომიტეტთან არსდება საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს იმ პიროვნებათა მოღვაწეობა, რომელთა ყოფაქცევა ფრიად მავნედ იქნება ცნობილი ახალი რეჟიმისათვის. იმავე კომიტეტში მზადდება დებულებანი შესახებ: 1) მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნებისა ამიერ-კავკასიაში, 2) სოფლის სასამართლოების გაუქმებისა და ახალი წესის დამყარებისა ადგილობრივ პირობების მიხედვით; 3) ბათუმისა, ზაქათალისა, ყარსისა და დაღესტნის ოლქებში სიტყვიერ სახალხო სასამართლოების გაუქმებისა და ახალ სასამართლოების დაწესებისა, ადგილობრივ პირობების მიხედვით. უკანასკნელი საკითხის შესახებ მოხსენების შედგენა მინდობილი აქვს საგანგებო კომისიას, რომელშიაც შედიან გ. რცხილაძე, გრუზენბერგი და ბარხუდაროვი.

— ქალთა უმაღლეს კურსები თბილისის უნივერსიტეტათ გადაკეთება. თბილისის ქალთა უმაღლეს კურსების პროფესორთა საბჭომ კურსების მსმენელ ქალთა წარმომადგენლებთან ერთად განიხილა მოხსენებანი კურსების რეორგანიზაციის შესახებ და დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა, რათა ხსენებული კურსები უნივერსიტეტათ იქმნეს გადაკეთებული.

იქნება პოლიტიკური უფლება. და დედაკაცების ეკონომიურ დამოკიდებულებაში დაჭერა ე. ი. სქესობრივ მონობაში, მანამ ვაჭრობაც „თეთრი მონების“ ეკონომიური საკითხი იქნება.

მაგრამ, როგორც უკვე ვსთქვით და ახლაც ვიმეორებ, სქესობრივი ბიწიერება სრულიად არ არის მამაკაცების სიღარიბით მისთვის, რომ ბიწიერთა რიგი ივსება, როგორც მდიდარი კლასით, ისე საშვალო შეძლებისა და ღარიბებით. საქმე ისაა, რომ ამ მამაკაცების სქესობრივი ინსტიკტები იმდენათ გაფუჭებული და დამახინჯებულია, რომ წესიერ დედაკაცებთან დამოკიდებულება მათ უკვე არ აკმაყოფილებთ. მათ ეჭივრებათ ისეთი მოქცევა, რომელსაც ცოლი არ მოითმენს. ეს ვაჟბატონები თხოულობენ უნამუსობასა და უსირცხვილობას და პოულობენ მას გაფუჭებულ სახლებში. შეუღლება მათ სრულიად არ აკმაყოფილებს, ისინი მირბიან დიაცებთან, რომელთაც არ ესირცხვებათ უკადრისათ მოქცევა და საუბარი, რომელთანაც ეწევიან არა ბუნებრივ სქესობრივ ფუნქციასაც.

ფაქტები აღმოჩენილი პიკადილზე, რარიგათაც ღარიბი არ არის ის, საკმარისად გვიჩვენებს თუ როგორ არის საქმე მოწყობილი და რა გასაკვირალია, რომ წესიერი ქალები, რომლებმაც იციან ყველაფერი ეხლანდელ დროის ცხოვრებისა, ზიზღით უცქერიან გათხოვებას.

არის კიდევ ერთი სამარცხვინო მოვლენა, რომლის მოთხრობა საჭიროა. ცოლიანი და უცოლო მამაკაცები, რომლებიც დადიან ხოლმე ცუდ ოჯახებში, არ კმაყოფილდებიან სრულწლოვანი, ფიზიკურად მომწიფებულ ქალების დამცირებით. მათ ეჭივრებათ მცირეწლოვანი უბიწო ქალწულები. ბერნგარდ შოუ „სამი პიესის ბრიე“ (Brieux) დამატებაში ციტატას უკეთებს ბრიეს მდგომარეობას და როგორც ეტყობა ის თანახმაა მისი, რომ არც ერთ მამაკაცს არ უყვარს მიიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა ქალწულის შეცდენაში. ბ. შოუ ჩამორჩა საუკუნეს, რადგან ახლანდელ დროში, როგორც მოგვითხრობენ თეთრი მონები, „მამაკაცები სრულიად შეშლილი“ არიან იმაზე, რომ დაიჭირონ საქმე სულ პატარა, რაც შეიძლება ბავშ გოგოებთან და განსაკუთრებით სწყურიათ, რომ იყვენ პირველი დამნაშავენი მათი დაღუპვისა. სად არის მამობრივი ინსტინკტი, რომელმაც უნდა გამოიწვიოს მამაკაცში მფარველობა და არა დაღუპვა ბავშობისა და სიწმინდისა?

მამაკაცებმა უნდა გაიგონ, რომ ისინი ტყვილა ფიქრობენ დაიჭირონ წესიერი ქალები ილუზიაში შესახებ იმისა, თუ რა ხდება მათ ზურგს უკან. ისინი უნდა შეურიგდენ იმ აზრს, რომ ორგვარი ზნეობა შეუძლებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი უფრო და უფრო უარყოფილი იქნებიან იმ ქალებიდან, რომლებმაც იციან თავის თავის ფასი და პატივისცემა როგორ შეიძლება მამაკაცი ჩაითვალოს დედაკაცის ღირსეულ ამხანაგათ, სანამ ისინი არ იქნებიან ერთნაირი ზნეობისა?

წესიერ ქალს ხშირათ აიძულებდენ ზურგი შეექცია თავის „დაცემულ“ დისათვის და გაეწვდინა მეგობრულათ ხელი დაცემულ მამაკაცისათვის. დედაკაცებს არ სურთ კვლავ დაიმსახურონ ეს საყვედური და ისინი მივიდენ იმ დასკვნამდი, რომ აზროვნებით და ცხოვრებით ბინძური მამაკაცები ვერ იქნებიან მათი ამხანაგები.

კრისტაბელ პანკხერსტი.

(შემდეგი იქნება)

სოფ. დიდი ჯიხაიშიდან. ამოძახილი

სალამი ქალთა გამოფხიზლებას! ამხანაგებო! ჩემს სიხარულს საზღვარი არა ქონდა, როდესაც ავიღე ხელში ჩვენი გაზეთის პირველი ნომერი „ხმა ქართველი ქალისა“. უმთავრესი ყურადღება ჩემი მიიქცია პირველმა წერილმა „რედაქციისაგან“ ის მოუწოდებს ყველა მემარცხენე პარტიებს გამოსთქვას თავიანთი აზრი, თავიანთი პრინციპი, თავის პარტიის პროგრამის მიხედვით. რედაქცია ცდილობს, რამდენათ შესაძლებელნ იქნება, შემაერთებელი ძაფის გამონახვას. ეს აუცილებელ და უსაჭიროეს დებულებათ უნდა გადაიქცეს ამ გაზეთისთვის, რათა დიდი დანაშაულათ ჩაითვლება, რომელიმე ერთ პროგრამის ქადაგება ქალთა საზოგადოებისათვის, რომელსაც დღემდის აუტანელ პირობების გამო, არა აქვთ გარკვეული და შესწავლული არც ერთი პროგრამა. მე მოუწოდებ როგორც სოც. დემოკრატიულ ისე სოც. ფედერ. მიმართულებებს გაუწიონ ამ მოვლენას ანგარიში, მიაწოდონ ქალთა საზოგადოებას თავიანთი გარკვეული აზრები უმთავრეს მიზნათ კი დავისახოთ, შეერთება დაქსაქსული ქალთა ძალისა, მოპოვება და აღდგენა ჩვენი ადამიანური პიროვნებისა.

მაშ გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს და მასთან ერთად ქალთა ემანსიპაციას!

სალამი და უღრმესი მადლობა ამ გაზეთის გამოცემის ინიციატორებს

„ცუცუნია“

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის 1 №-ში, ფოთელ ქალთა შემოწირულების სიაში შემდეგი გვარები შეცთომით დაიბეჭდა. უნდა იყოს ქ-ნი დიდია და არა ლილია, ნინო ნარაკაძე და არა ხუნდაძე, ქ-ნი მგრელიძისა და არა მაგნიასა, ანნა სოკოლოვსკაია და არა როკოლოვსკაია, ამასთან გამორჩენილია ქ-ნი ეფრო გაბელია, რომელმაც შემოსწირა 5 მ. ეკატ. გეგეჭკ. 5 მ. და ლიდა კობალეიშვილი, რომელმაც შემოსწირა 1 მან. და 50 კაპ. ჩვენი გაზეთის მეორე №-ში აუარებელი შეცდომებია, რომლის აღნიშვნა მისი სიმრავლისა გამო შეუძლებლად მიგვაჩნია. დავასახელებთ უმთავრესს, რომელიც არღვევს აზრს ,,საზარელი მტრობა''—ფელეტონი, მეორე სვეტზე სწერია: ,,ისეთს სენზე, როგორც სიფილისია ახალს წამალს მკურნელობითი თვისება ათას წლამდე ადრე არ გამოაჩნდება'' უნდა იყოს, ახალს წამალს მკურნელობითი თვისება ათა წლის ადრე არ გამოაჩნდება, ,,საერთაშორისო ქალი'' მეორე გვერდზე სწერია: მისი ფანტაზიური ,,ციგნური გონება'' არის მკვიდრი ენა სხვისი ყურთასმენისათვის'' უნდა იყოს, არის მკვდარი ენა სხვისი ყურთასმენისათვის.

ამას გარდა P. S. უკანასკნელ სვეტში ზოგიერთ №№-ში ჩამოტანილია ძირს რაც სრულად უადგილოა. ყველა ეს შეცდომები მისთვის ხდება, რომ ჩვენი გაზეთი იბეჭდება განსაკუთრებით ცუდ პირობებში. ჩვენ გვეჭივრება მეტი დახმარება, ვიდრე დღემდე აღმოგვიჩინეს.

რმდ.

ჩვენი გაზეთის ფონდის გასამლიერებლათ პატარა ჯიხაიშიდან მივიღეთ მასწავლელი ელენე ლორთქიფანიძის ქალის მიერ შეგროვილი 38 მ. 25 კ.

შემომწირველთა სია:

ლივან ლოლაბერიძე—3 მ. ტარასი იოსელიანი—3 მ. ელენე ლორთქიფანიძე—1 მ. პაშა ლოლაბერიძე—1 მ. ნესტორ ლოლაბერიძე—1 მ. ვარლამ კაშია—2 მ. სევერიან მიქაძე 2 მ. იასონ ლოლაბერიძე—2 მ. ივანე აბზიანიძე—2 მ. რებეკა ბოკალავაძე—1 მ. ევგენი ქუთეთალაძე—1 მ. 5კ. ჯიქიძე მიხა 1 მ. სანდრო მიქაძე 1 მ. ვლადიმერ ლოლაბერიძე—1 მ. მიხელ ლოლაბერიძე—1 მ. ვლადიმერ სანოძე—1 მ. შალამბერიძე ბარ.—1 მ. უცნობი 1 მ. ცუცუნია ლოლაბერიძე—1 მ. ბაცია ლოლაბერიძე—1 მ. ავთანდილ ლოლაბერიძე—1 მ. ნიკო ლოლაბერიძე—1 მ. მარუსია ლოლაბერიძე—1 მ. ვენერა მიქელაძე—1 მ. მღვ. ექვთიმე ლექავა—1 მ. კუკუ ლოლაბერიძე—50 კ. სოფიო ლოლაბერიძე 50 კ. ნინო ქუთათელაძე—50 კ. ალექსანდრა აბზიანიძე—50 კ. თათრახან ლოლაბერიძე—50 კ. გრიგოლ ბოკალავაძე—50 კ. ალექსანდრე წივწივაძე—50 კ. ს. რ.—50 კ. ოლია აბზიანი—50 კ. საშა აბზიანი—50 კ. ელპიდა აბზიანი—20 კ.

სულ ჯამი 38 მ. 25 კ.

1917 წ. 13 აპრილი.

გაზეთის შემოწირულება ქ. ქუთაისიდან

ცაცა უზნაძე 3 მ., ანეტა ფანცხავა 1 მ., ალექსანდრა ქულურისამ 5 მ., ანნა მენაბდისამ 2 მ., კანდელაკისგან 1 მ. 50., გალაკტიონ მასხარაშვილი 3 მ., ფაცურია ფუთურიძემ 2 მ., ედუკსია ფუთურიძემ 4 მ., ვარია ვოლსკის ქალმა 5 მ., ლუბა უზნაძემ 2 მ., მარიამცერცვაძემ 1 მ. ქ-ნი წერეთლისამ 5 მ., სპ. ჯორჯიკ. 10 მ.

წერილი რედაქციის მიმართ

ქ-ნო რედაქტორო!

გილოცავთ პირველი ნაბიჯის გადადგმას ემანსიპაციისაკენ. გულით და სულით გიძღვნით სალამს ასეთი შრომის და ენერგიისათვის, რომელიც თქვენ იკისრეთ, როგორიცაა გაზეთი „ხმა ქართველ ქალის“ გამოცემა. ყოველი ქალის მოვალეობაა განურჩევლად, პარტიისა გაუმაგროს ზურგი მის გამოსვლას, რათა მიაწოდოს ამდენ ხნის დახშულ ქალთა საზოგადოებას, მასალა, მის საჭირ ბოროტო კითხვებზე.

დიდი-ჯიხაიშის ქალები, აგრეთვე მამაკაცები, განურჩევლად პარტიისა აღებენ თავის წვლილს ჩვენი გაზეთის გასაძლიერებლად და ყველა სიხარულით სწირავს მას.

გიგზავნი სიას.

მასწავლებელი ვალიკო დევიძის სიას შემოწირულთა სია.

ვალიკო დევიძის ასული 5 მ., მარუსია ვაშაკიძე 4 მ., ცუცუნია ლორთქიფანიძე 3 მ. 10 შ., ქსენია ჟორდანია 3 მ., ფედოსია ქუთეთელაძე 3 მ., ლუბა თევზაძე 3 მ., ექიმი გრიგორ ციციშვილი 3 მ., ექიმი იოილი ჟორდანია 3 მ., ლორთქიფანიძე ბაბილინა 2 მ., ლორთქიფანიძე დავითი 2 მ., ლექავა ალექსანდრა 3 მ., ბალავაძე ნადია 2 მ., კოლია ივან. ლექავა 2 მ., ქეთო შუბლაძე 1 მ., 10 შ. ლორთქიფანიძე მარია 1 მ., წულიკიძე ბაბილინა 1 მ., ელიჩკა ნიჟარაძე 1 მ., თამარ ნიჟარაძე 1 მ., ჩხეიძე ვერა სოლომ. 1 მ., დევიძე სამსონ 1 მ., ჩიკვაიძე ნიკო 1 მ., რუხაძე კირილე 1 მ., კაჭახიძე ოლღა 1 მ., კაჭახიძე ნიკო 1 მ., ჩხაიძე სიმონ 1 მ, ნარიმანია სერგო 1 მ., ლორთქიფანიძე მელიკო 1 მ., გაფრენაშვილი ნადია 1 მ., მელქაძე ალექსანდრა 1 მ., ნუცუბიძე ეფროსინე 1 მ., ლექავა ალექსანდრე 1 მ., ნემსაძე ალექსანდრე 1 მ., ჩოხვაძე ლიდა 1 მ., ჩომახიძე პასიკო 10 შ, ნუცუბიძე ფაცია 10 შ., ლექავა ნინა ტატ. 10 შ., ჩხეიძე ნიკო 10 შ., ბექაია გრიგორი 10 შ., მელქაძე ალექსანდრე 10 შ., ქუთათელაძე ვარლამ 10 შ., დევიძე ნიტრაფონ 10 შ., ლორთქიფანიძე გიორგი 10 შ., ნუცუბიძე აკვილინა 10 შ., შუბლაძე ათანასე 10 შ., ბიბილეიშვილი ლუბა 10 შ., ვაშაკიძე კატუშა 10 შ., ივანიძე სონია 10 შ., მხეიძე ძაძუნია 10 შ., ვაშაკიძე ნინა 18 შ., ბიბილეიშვილი გიორგი 6 შ., გაგუნაძე სონია 20 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა